



Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union



ERASMUS+ CBHE PROJECT # 585760-EPP-1-2017-1-AM-EPPKA2-CBHE-JP

**“ცვლილება საკლასო ოთახში: ინოვაციური სწავლებისა და სწავლის
წახალისება სტუდენტთა სასწავლო გამოცდილების გასაუმჯობესებლად
აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ (PRINTeL)**

სტუდენტთა უკუკავშირის შეფასება და კვლევა

აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების
ცენტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისია:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა, სტუდენტებს შესთავაზოს თანამედროვე და ხარისხიანი განათლება. მისიის შესაბამისად, აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის ამოცანაა აკადემიური განათლებისა და კვლევის ხარისხის გაზრდა და, ამ მიზნით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელთა და მკვლევართათვის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა (რაც გულისხმობს: აკადემიური პროგრამების მენეჯმენტს (დიზაინი, განვითარება და შეფასება), სწავლებას (სწავლება, სწავლა და შეფასება) და კვლევის უნარების განვითარებას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის მიზნების შესაბამისად. აგრეთვე, ცენტრის მიზანია, მოამზადოს და შესთავაზოს სხვადასხვა ტიპის ტრენინგები უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და სასწავლო პროცესში ჩართულ პირებს; პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრა და გამოცდილი ტრენინგების მოზიდვა; აკადემიური პერსონალის, სწავლის პროცესში ჩართულ პირთა და სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე, ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგების მონიტორინგისა და ხარისხის შეფასება.

ზოგადი ინფორმაცია

აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი სტრუქტურული ერთეული, რომელიც შეიქმნა ადამიანური რესურსებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ პედაგოგთა და სტუდენტთა შორის ჩატარებული გამოკითხვების (2017 და 2018), ასევე ფაკულტეტების/სკოლების დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ პროგრამის მენეჯერთა/ადმინისტრატორთა (2018) და აკადემიური პროგრამების გარე შეფასების ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების შეფასებების (2018) საფუძველზე გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ბაზაზე.

ძირითადი საქმიანობა

2019 წლის გაზაფხულზე, პროექტ „PRINTeL“-ის ფარგლებში, ცენტრის თანამშრომლებმა ილიაუნის აკადემიური პერსონალისა და სასწავლო პროცესში ჩართულ პირთათვის ჩატარეს 15 ტრენინგი. თითქმის 200 თანამშრომელი გადამზადდა სწავლა-სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენებაში შემდეგი

მიმართულებებით:

- აქტიური სწავლება შებრუნებულ საკლასო ოთახში;
- შერეული სწავლება და სწავლა სტუდენტების სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად;
- შებრუნებული საკლასო ოთახი - სწავლების ეფექტიანობის ზრდა ვიდეოებისა და სხვა პროგრამების გამოყენებით;
- აქტიური სწავლა და სწავლება საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით: სწავლა მობილურით და თამაშით;
- აქტიური სწავლება და თანამედროვე ტექნოლოგიები.

2019 წლის შემოდგომაზე აღნიშნული ცენტრის თანამშრომლები ბელგიაში, ლუვენში დაესწრნენ ტრენერთა მომზადების ტრენინგს (TOT) თემაზე - „ღია საგანმანათლებლო რესურსების მომზადება“ (OER). აღნიშნული ტრენინგის მიზანი იყო უკვე არსებული ტრენინგ-კურსების ოპტიმიზაცია და უნივერსიტეტის თანამშრომელთათვის ახალი, მოდიფიცირებული კურსების შეთავაზება.

2019 წლის ოქტომბრიდან 2019 წლის დეკემბრამდე ჩატარდა 6 მოდიფიცირებული 10 საათიანი ტრენინგი, რომლებსაც უძღვებოდნენ: 1. ლევან ცაგარელი – პროფესორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი; 2. ალექსანდრე ერგეშიძე – ასოცირებული პროფესორი – ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტი; 3. თამარ მაღალაშვილი – ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტი; 4. ელენე ჟურავლოვა – ასოცირებული პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი; 5. არჩილ აბაშიძე – ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი; 6. გიგა ხოსიტაშვილი – მოწვეული მასწავლებელი – მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი.

აღნიშნულ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 60-ზე მეტმა სწავლებაში ჩართულმა პირმა. აღსანიშნავია, რაღნიშნულ ინოვაციურ მეთოდებს იყენებდნენ საკუთარი სალექციო კურსის წარმართვისას, ხოლო სემესტრის დასასრულს, გამოყენებული მეთოდების ეფექტურობის შეფასების მიზნით და საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით, მათ შეადგინეს კითხვარი სტუდენტთათვის. ეს პროცესი საკმაოდ დინამიურია და სტუდენტთა უკუკავშირი ეხმარება ლექტორებს უკეთ დაინახონ ის პრობლემები და გამოწვევები, რომელთაც სემესტრის განმავლობაში სწავლებისას იჩინეს თავი. კითხვარში გათვალისწინებულია ის საჭიროებები, რაც სწავლებისას გამოჩნდა. ვინაიდან თავად ტრენერები უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტს/სკოლას წარმოადგენენ, სწავლა-სწავლების ინოვაციური მეთოდების მიხედვით მოდიფიცირებული კურსებიც, თავისთავად ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდა.

კითხვარში წარმოდგენილი იყო შემდეგი შეკითხვები:


1. კურსმა დააკმაყოფილა ჩემი მოლოდინი
2. სწავლებისას ლექტორი იყენებდა ინოვაციურ მეთოდებს (მაგ. Moodle, Turnitin Feedback Studio, Mentimeter, Sli.do, Polleverywhere, Google Forms, Trello, Kahoot, Padlet, შეკითხვებზე პასუხის გაცემა მობილური ტელეფონის გამოყენებით, და სხვა)
3. სწავლებისას მასწავლებლის მიერ გამოყენებული მეთოდები და აქტივობები სტუდენტებისთვის იყო საინტერესო და სტიმულის მიმცემი.
4. სემინარების განმავლობაში საშუალება მქონდა, შემესრულებინა პრაქტიკული სავარჯიშოები და აქტივობები.
5. ლექციების განმავლობაში თავისუფლად შემძლო შეკითხვების დასმა და აზრის გამოხატვა.
6. სამომავლოდ შევძლებ ლექციებისა და სემინარების განმავლობაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენებას.
7. ურჩევდით თუ არა მეგობრებს ამ კურსის გავლას?
8. ჩემი ზოგადი შთაბეჭდილება აღნიშნულ კურსზე.
9. თქვენი აზრით, რამდენად სასარგებლოა სწავლებისას ელექტრონული პლატფორმების კლასიკურ მეთოდებთან ერთად გამოყენება?
10. ელექტრონული პლატფორმების/ინსტრუმენტების გამოყენება ზრდის თუ არა სტუდენტის მოტივაციას?
11. ვიდეო–ლექციების გამოყენებას მოაქვს უკეთესი შედეგი (აუდიტორიაში ჩატარებულ ლექციასთან შედარებით, რადგან შესაძლებელია ჩაწერილი ლექციის მოგვიანებით ყურება)
12. სწავლა–სწავლების ონლაინ პლატფორმების (მაგ. Padlet, Trello, Kahoot, და სხვა) გამოყენება მოსახერხებელი და ადვილია.
13. სასურველია ყველა ლექტორი/ყველა კურსი იყენებდეს სწავლების ელექტრონულ ინსტრუმენტებს/მეთოდებს.

სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები

სტუდენტთა უმრავლესობამ ხალისით მიიღო მონაწილეობა გამოკითხვაში; ზოგიერთისთვის ნათელი იყო ამგვარი გამოკითხვის საჭიროება სწავლების პროცესში. ამავდროულად, სტუდენტთა ნაწილმა უარი თქვა კითხვებზე პასუხის გაცემაზე. მიღებული შედეგები ასე გამოიყურება:

სტუდენტთა
რაოდენობა – 277
შედეგები შეკითხვების
მიხედვით:


კურსმა დააკმაყოფილა ჩემი მოლოდინი



- არ მაქვს პასუხი • სრულიად არ ვეთანხმები • არ ვეთანხმები • ნეიტრალური დამოკიდებულება • ვეთანხმები • სრულიად ვეთანხმები

გამოკითხულ სტუდენტთა 40%-მა დააფიქსირა მოსაზრება, რომ კურსმა მათი მოლოდინი სრულიად გაამართლა; 37% ეთანხმება ზემოთგამოთქმულ მოსაზრებას; 17%-ს აქვს ნეიტრალური დამოკიდებულება; 5%-ს პასუხი არ გააჩნია ხოლო ჯამში 4% არ ეთანხმება მოსაზრებას.


სწავლებისას ლექტორი იყენებდა ინოვაციურ მეთოდებს (მაგ. Moodle, Turnitin Feedback Studio, Mentimeter, Sli.do, Polleverywhere, Google Forms, Trello, Kahoot, Padlet, შეკითხვებზე პასუხის გაცემა მობილური ტელეფონის გამოყენებით, და სხვა)



- არ მაქვს პასუხი • სრულიად არ ვეთანხმები • არ ვეთანხმები • ნეიტრალური დამოკიდებულება • ვეთანხმები • სრულიად ვეთანხმები

სტუდენტთა 91% სრულიად ეთანხმება/ეთანხმება, რომ ლექტორი იყენებდა სწავლების ინოვაციურ მეთოდებს; 5%-ს ამ საკითხის მიმართ აქვს ნეიტრალური დამოკიდებულება და მხოლოდ 4% არ ეთანხმება ზემოთგამოთქმულ მოსაზრებას.

სწავლებისას ლექტორის მიერ გამოყენებული მეთოდები და აქტივობები სტუდენტებისთვის იყო საინტერესო და სტიმულის მიმცემი.




- არ მაქვს პასუხი • სრულიად არ ვეთანხმები • არ ვეთანხმები • ნეიტრალური დამოკიდებულება • ვეთანხმები • სრულიად ვეთანხმები

გამოკითხულ სტუდენტთა 83% ფიქრობს რომ სწავლების პროცესში ლექტორის მიერ გამოყენებული მეთოდები და აქტივობები იყო საინტერესო და სტიმულის მიმცემი; 12%-ს აქვს ნეიტრალური დამოკიდებულება; ხოლო 4% არ ეთანხმება ამ მოსაზრებას.

სემინარების განმავლობაში საშუალება მქონდა შემესრულებინა პრაქტიკული სავარჯიშოები და აქტივობები.


- არ მაქვს პასუხი • სრულიად არ ვეთანხმები • არ ვეთანხმები • ნეიტრალური დამოკიდებულება • ვეთანხმები • სრულიად ვეთანხმები



სტუდენტთა 88% სრულიად ეთანხმება/ეთანხმება რომ სემინარების განმავლობაში ისინი ასრულებდნენ პრაქტიკულ აქტივობებს; 7%-ს ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს; 3% სრულიად არ ეთანხმება/არ ეთანხმება, ხოლო 2%-ს პასუხი არ აქვს.

ლექციების განმავლობაში თავისუფლად შეძენილი უკითხვების დასმა და აზრის გამოხატვა


- სრულიად არ ვეთანხმები
- არ ვეთანხმები
- ნეიტრალური დამოკიდებულება
- ვეთანხმები
- სრულიად ვეთანხმები



სტუდენტთა 75% სრულიად ეთანხმება/ეთანხმება რომ ლექციების განმავლობაში თავისუფლად შეეძლოთ უკითხვების დასმა და მოსაზრებების გამოთქმა; 14%-ს აქვს ნეიტრალური დამოკიდებულება, ხოლო 11% სრულიად არ ეთანხმება/არ ეთანხმება ზემოთგამოთქმულ მოსაზრებას.


სამომავლოდ შევძლებ ლექციებისა და სემინარების განმავლობაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენებას

- არ მაქვს პასუხი • სრულიად არ ვეთანხმები • არ ვეთანხმები • ნეიტრალური დამოკიდებულება • ვეთანხმები • სრულიად ვეთანხმები



სტუდენტთა 85% ფიქრობს, რომ ლექცია/სემინარებიდან მიღებულ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას მომავალში გამოიყენებს; 6%-ს აქვს ნეიტრალური დამოკიდებულება; 4% არ ეთანხმება ამ მოსაზრებას, ხოლო 5%-ს აღნიშნულ მოსაზრებასთან დაკავშირებით პასუხი არ გააჩნია.

ურჩევდით თუ არა მეგობრებს ამ კურსის გავლას?




■დიახ ■არა

გამოკითხვის მონაწილეთა 91% მეგობარს ურჩევდა განვლილი კურსის არჩევას; მხოლოდ 9% არ ეთანხმება ამ მოსაზრებას.

ჩემი ზოგადი შთაბეჭდილება აღნიშნულ კურსზე

სტუდენტთა ზოგადი დამოკიდებულება განვილილი საგნების მიმართ არის სრულიად პოზიტიური/პოზიტიური (96%), მხოლოდ 4%-ს აქვს ნეიტრალური დამოკიდებულება ამ საკითხში.




■სრულიად უარყოფითი ■უარყოფით ■დადებითი ■სრულიად დადებითი

თქვენი აზრით, რამდენად სასარგებლოა სწავლებისას ელექტრონული პლატფორმების კლასიკურ მეთოდებთან ერთად გამოყენება?


სტუდენტთა 86%-თვის სწავლებისას ელექტრონული ინსტრუმენტების ტრადიციულ მეთოდებთან ერთად გამოყენება არის ძალიან სასარგებლო/სასარგებლო; მხოლოდ 3% მიიჩნევს უსარგებლოდ; ხოლო 13%-ს აქვს ნეიტრალური დამოკიდებულება აღნიშნული საკითხის მიმართ.

•სრულიად უსარგებლო • უსარგებლო •ნეიტრალური დამოკიდებულება • სასარგებლო •ძალიან სასარგებლო



ელექტრონული პლატფორმების/ინსტრუმენტების გამოყენება ზრდის თუ არა სტუდენტის მოტივაციას?


•სრულიად არა • არა • საშუალო პასუხი • დიახ •მნიშვნელოვნად ზრდის



სტუდენტთა 50% ფიქრობს რომ ელექტრონული პლატფორმების გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას; 26%-ს აქვს ნეიტრალური დამოკიდებულება; ხოლო 24% არ ეთანხმება ამ მოსაზრებას

ვიდეო–ლექციების გამოყენებას მოაქვს უკეთესი შედეგი (აუდიტორიაში ჩატარებულ ლექციასთან შედარებით, რადგან შესაძლებელია ჩაწერილი ლექციის მოგვიანებით ყურება)


- საერთოდ არ ვეთანხმები ▪ არ ვეთანხმები ▪ ნეიტრალური დამოკიდებულება ▪ ვეთანხმები ▪ სრულიად ვეთანხმები



გამოკითხულ სტუდენტთა 38% ფიქრობს რომ ვიდეო–ლექციების გამოყენებას სწავლისას უკეთესი შედეგები მოაქვს, მაშინ როცა 31% ამ მოსაზრებას არ ეთანხმება; ხოლო 26%-ს აქვს ნეიტრალური დამოკიდებულება.

სწავლა–სწავლების ონლაინ პლატფორმების (მაგ. Padlet, Trello, Kahoot, და სხვა) გამოყენება მოსახერხებელი და ადვილია.

- საერთოდ არ ვეთანხმები ▪ არ ვეთანხმები ▪ ნეიტრალური დამოკიდებულება ▪ ვეთანხმები ▪ სრულიად ვეთანხმები




სტუდენტთა 85%–თვის ონლაინ სწავლების პლატფორმების გამოყენება მოსახერხებელი და ადვილია; მხოლოდ 5%–თვის არ არის მოსახერხებელი; 10%–ს კი აქვს ნეიტრალური დამოკიდებულება აღნიშნული საკითხის მიმართ.

საბოლოოდ, სტუდენტთა 71% ისურვებდა რომ ყველა ლექტორი/ყველა კურსი იყენებდეს ელექტრონულ პლატფორმებს/მეთოდებს სწავლებისას, ხოლო 17%-ს აქვს ნეიტრალური დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ.

სასურველია ყველა ლექტორი/ყველა კურსი იყენებდეს სწავლების ელექტრონულ ინსტრუმენტებს/მეთოდებს

- საერთოდ არ ვეთანხმები ▪ არ ვეთანხმები ▪ ნეიტრალური დამოკიდებულება ▪ ვეთანხმები ▪ სრულიად ვეთანხმები



შეჯამება:

სტუდენტთა 77% ფიქრობს რომ მათი მოლოდინი გამართლდა; 91%-ის აზრით, ლექტორები სწავლებისას იყენებდნენ ინოვაციურ მეთოდებს (მაგ. Moodle, Turnitin Feedback Studio, Mentimeter, Sli.do, Poll everywhere, Google Forms, Trello, Kahoot, Padlet, შეკითხვებზე პასუხის გაცემა მობილური ტელეფონის საშუალებით, და სხვა); 86%-ისთვის სწავლებისას ელექტრონულ ინსტრუმენტებთან ერთად კლასიკური მეთოდების გამოყენება არის ძალიან სასარგებლო/სასარგებლო; გამოკითხვაში მონაწილეთა უმეტესობის აზრით, მასწავლებლის მიერ ლექციაზე გამოყენებული მეთოდები და აქტივობები არის საინტერესო და სტიმულის მიმცემი და სემინარების მიმდინარეობისას საშუალება ჰქონდათ პრაქტიკული აქტივობებზე ემუშავათ. 75% ეთანხმება, რომ სასწავლო პროცესში თავისუფლად შეეძლოთ შეკითხვების დასმა და აზრის გამოხატვა; სტუდენტთა 85% ფიქრობს, რომ ლექცია-სემინარების დროს მიღებულ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას სამომავლოდ გამოიყენებს და შესაბამისად, კურსის გავლას ურჩევს მეგობრებსაც. სტუდენტთა ზოგადი დამოკიდებულება განვლილი კურსის მიმართ არის სრულიად

პოზიტიური/პოზიტიური (96%). მონაწილეთა თითქმის ნახევარი ფიქრობს, რომ ელექტრონული პლატფორმების გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის სტუდენტის მოტივაციას, თუმცა ვიდეო–ლექციების გამოყენებას არ მოაქვს უკეთესი შედეგი სწავლის თვალსაზრისით (56%). გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით (85%), ონლაინ სწავლა–სწავლების პლატფორმები მოსახერხებელი და ადვილი გამოსაყენებელია.

მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტთა უმეტესობისთვის ინოვაციური მეთოდებით დისტანციური და ონლაინ სწავლება არის საკმაოდ მისაღები და კომფორტული. ამ გამოწვევის შედეგები უფრო ხელშესახები გახდება 2020 წლის გაზაფხულის სემესტრის დასრულების შემდეგ.

დასკვნა

2020 წლის თებერვლიდან პანდემიის გავრცელების გამო მთელი მსოფლიო უდიდესი გამოწვევების წინაშე დადგა. ამ გამოწვევებმა გავლენა იქონია ადამიანთა საქმიანობის თითქმის ყველა სფეროზე და მათ შორის უმაღლესი განათლების სისტემაზე. დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა არ იყო ადვილი პროცესი, მით უფრო იმ ქვეყნებისთვის, ვისაც საამისო გამოცდილება არ ჰქონდა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა სწავლების ხარისხის შესანარჩუნებლად ყველა შესაძლო რესურსი გამოიყენა. PRINTeL–ის პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა ტრენინგებმა დიდი როლი შეასრულა ამ პროცესში. ტრენინგებმა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებს გამოცდილება გაუზიარეს მოკლე ვიდეოების საშუალებით:

<https://www.facebook.com/Iliaini/videos/256312568744383/>

<https://www.facebook.com/Iliaini/videos/898526167240409/>

<https://www.facebook.com/Iliaini/videos/667174600716429/>

აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის ტრენინგებმა დაინტერესებულ პირებს გაუზიარეს რჩევები ეფექტურ დისტანციურ სწავლებასთან და იმ სპეციალურ მეთოდებსა და ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, რომლებიც დისტანციურ სწავლებას გაადვილებს როგორც ლექტორების ასევე სტუდენტებისთვის.

აღნიშნული გამოწვევის უფრო ზუსტი შედეგების გაცილებით კარგად გამოჩნდება 2020 წლის გაზაფხულის სემესტრის დასრულებისა და სტუდენტთა/მასწავლებელთა გამოკითხვის შემდეგ.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მაისი, 2020

